ციხიდან გაანთავისუფლებს. ძალიან სასტიკათ ეპურობინან ყვე-
ლა იმათ, ვინც ოდესმე ბალშევიკების წინააღმდეგ იბრძოდა.
ამ კატეგორიის ხალხს შეუბროლებლად ასამართლებენ და
ხვრეტენ. დახვრეტა ხდება ციხის. ეზოში.

ქართველები ცოტა არიან დახვრეტილები, ისე კი ხვრე-
ტენ ბევრს. „ჩრეზვიჩიკები“ მოქმედობენ, რუსები რომ იტ-
ყვიან, ვი ვი. მოსახლე ყოველგვარი თავისუფლება. სახლ-
მწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, რკინის გზაზე
ერთი სიტყვით ყველგან რუსებია, ყველგან რუსული ენაა
გაბატონებული.

ვინც ჯარში არ არის ჩაწერილი, იმას შიმშილი მოელის,
რადგანაც, მოხდენილია ყოველგვარი საქანლის რეკვიზიტია
და ამ საქანლით, თუ ის რუსეთში არ არის გაგზავნილი,
სარგებლობენ მხოლოდ ისინი, ვინც კომუნისტების ჯარშია
ჩაწერილი.

სხვათა შორის მრავალი დაჭრილ-დახოცილი ჩამოიყა-
ნეს წითელი ხიდის ფრონტიდან. მარტო დაჭრილები 900
კაცამდე იქნებოდა. რა სულელები ყოფილან ეს ქართველე-
ბის, ჩერი იმათ გასანთავისუფლებლად მოვედით და ისინი
კი გააფრთხებული გვებრძებიან. სანამ არ გაიგეს, რომ ისინი
დააპარცა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიის სასიქადუ-
ლო შვილებმა, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ ებრძო-
დათ ინგლისელები.

ამ ბრძოლის შესახებ და, საზოგადოთ ყველაზე გა-
ზეობში ყალბ ცნობებს ათავსებენ, როგორც, მაგ. ვალიკ

ჯუდელზედ იყო დაწერილი. წითელ ზიდთან ჩევნ ძალიან
დავამარტინ ქართველები, ვალიკო კართველები, გა-
ცეც ბრძოლის ველიდანამ — ეწერა ტრიუმფის გა-
ცეც არ შეიძლება თქვენი უურადღება არ მავაკცია იმ
გარემოებას, რომ, მიუხედავათ ზავისა, ქართველები ვერ
ახერხებენ ადერბეიჯანიდან გამოსვლას. ჩევნი წირმომადგე-
ნელის ნებართვის შესაფერ ყურადღებას არ აქცევენ. თუ
„ჩრეზვიჩიკები“ არ მოგცა ნება — ისე წამოსვლას ვერ ეღი-
სები. იქ, ჩრეზვიჩიკაში კი ქართველები ვერას ხდებიან. ქარ-
თველები მოუთმენლად მოელიან სამშობლოში დაბრუნებას
და, თუ ეხლავე არ იქნა შესაფერი ზომები მიღებული, ისე
დაც ცუდ მდგომარეობაში მყოფნი უარეს მდგომარეობაში
ჩავარდებიან.

წინაშე და და და და!

(პირ ნათელ გმირებს).

ძმათა ერთია კარგი სახელი,
გურული იყო გინდა კახელი.
ლინიშიც არ ვარგა ომ უნახველი,
ჯართა მოშიში, თვალთა მფახველი.
მონა, ლაჩარი, სხვათა მძრახველი,
თვით უსაქმური, განუზრახველი,—
დასტოვა ვინცა ბრძოლის გლიხ ველი,—
სიკვდილმა იცნო, ჩუმათ ჰერა ხელი,
გულს შეაბარა ენა მჩხახველი...
წმინდა მცნებათა ვერ შემნახველი,
მომშეთა თვისთა გამტალახველი,
გმირთა ძვალების გადამლახველი,
ვით სენი ცოდვის ამონახველი,—
დასთხილს ერმა მისი სახელი!..
ასე გვიმბობს სიბრძნე ქართული,
გმირულ საქმეთა გამომსახველი,—

* *

აქ წინ გვეძლევა კვლავ გზა უგეში,
ბრძოლა — ძიების, შრომის და ფიქრის,
ვერ დაგვამშევიდებს მკვდარი ნუგეში,
თეთრი მერანი ჯერ შორად მიჰქინის!

დევ, არწიოს დედამ აკვანი,
ზარდოს ლენება ობოლი გმირის,
იღალადებენ ხენი და ქვანი,
რომ მტრის ბრჭყალებში დღეს ის არ სტირის!

თავის დადება წინაშე ღვთისა
მოკვდავისაგან უკვდავსა მობდეს,
რომ ცამ დაისკვნას ვარსკვლავად ასა
სამშობლოს თავზე დასთამაშობდეს!

ვ. ტუქსიშვილი.

წერილები თორნტიდან!

საღიშვილი მოხალისებული იყო, მასის უკანასკნელი შვიდფერი სხვივები ესალმებოდნენ „მყინვარსა“. მისი თოვლით განსპეციალური წვერი. ირველივ ღრუბლები და ნისლი იყო. საღიშვილის ნიაემა წყნარად დაპერია, და ნელის რჩევით, მინდორ-ველს, მზისგან გახურებულსა და მომაკვდავს, ბიბინი დააწყებინა... ამ ნაირს საღიშვილის თითქმის მთელი ხალხი გამოკიცულებინა, და ყველანი, სტკებოდნენ, ბუნების წილში ჩვენი მოხალისე—მხიარული, გამძლე და მტარი ჯარისკაციც არ ჩამორჩენოდნენ ამ ბუნების კონცერტს; შეგროვილი კუნძულენ ერთად ჩვეულებისამებრ, და ახლად აბიბინებულს მინდორზედ ცეკვა-თამაში ჰქონდათ გამართული.—ამ დროს გაისმა ხმა, „საჩუქრები მოვდისო“. ჯ.-ს-კაცების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მით უმეტეს, რომ მოლოდინი გაუმართლდათ. მეორე დღეს ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის მიერ იქმნა დარიგებული პატარ-პატარა „საჩუქრები“. ჯ.-ს-კაცები დიდის სიხარულით მიღიოდნენ, და ღებულობდნენ; რაიცა ჯ.-კაცნი დიდი ნასიამოვნები დაიშალნენ...

უცაბედათ, შევხვდი ერთ ჯ.-კაცს, რომელიც გზის პირას იდგა გამარტოებული; ნათლათ ემჩნეოდა სევდა და წუხლი.

— „ჩემო ლევან“ „რათა ხარ დაღონებული? ნუ თუ შენთვის სასიხარულო არ არის, რომ ჩვენი დები და მები, პატარა მოწაფენიც კი, ამნაირს თანაგრძნობას გვიმტკიცებნ?

— „ეჭ, რა ვითხო—ჩემო მეგობარო, წერა-კითხვა არ ფი—და“ თან მომაწოდა საჩუქრის პარკიდან ამოღებული პატარა წერილი, რომელსაც სწერდა ერ-ერთი მოწაფე ქ. ჭიათურიდან, რომელშიაც დიდი თანაგრძნობა და გამხნევება იხატებოდა ჯ.-ს-კაცისადმი. წერილი გადავეცი, აღარა უთქვაშის რა, ცხადი იყო მისი მწერალების მიზეზი, ასე ნაღვლიათ გამოიყენებოდა, რომ გამოვეთხოვე, ისე მომაცერდა თვეისი ლმობიერი თვალებით, ერთი მწარედ ამოიხრა, რომ გული მომეკუშა.

უღრმესი მაღლობის ღირსია პატიცემული მასწავლებელი მე-5-თე ქვ. ათასეულისა, ბ-ნი ჭაბუკანი, რომელიც უკველივე თავისი საშუალებით ცდილობს მიახვედროს უცოდინარი ჯარის-კაცები წერა-კითხვას... ასაც უსურვებ სხვა ათასეულებშიაც ამ ზემოხსენებული სიტყვების სისრულეში შეიყვანას...

ჯ.-ს.-ქ. ალ. სკანდაროვი.

წერილი შეოთხევ.

(ადერბეგიჯანის ფრონტიდან)

მხოლოდ მეორე დილას, 14 მაისს გამოიჩვა მთელი ურონტის მდგომარეობა. მარცხენა კოლონა ს. ასლანგეგში საერთოთ ღამემ ხას მოუსწრო ისეთ ადგილას,

სადაც გაჩერება არ შეიძლებოდა: ან წინ უნდა წაყსულიყავით ან ცოტა უკან დაგვეხია. ჩვენ წერილი უკანის მანძილზე მოსხინდა მაღალი და გრძელი მდგრადი და ჩვენმა სარდალმა გენ. ჯიჯიხიამაც იმის დაჭერის დაჩერება გადასწყვიტა. და ასე 14 მაისს, მიუხედავად იმისა, რომ საბარგულებები ისევ ჩამოგვრენ, ჯარი დაიღალა და არეზერვიც არსად სჩანდა, განვაგრძეთ შეტევა. შეტევა დაიწყო ისევ მარცხენა კოლონამ. ისინი ღამეც პირდაპირ იდგენ მტერთან, ხოლო ჩვენ მტერი ძალიან დაგვშორდა. სანამ არ გავიარეთ მდელოები და არ მიუხალოვდით მთის ქედებს, მტერი არ ჩანდა, აქ კი ერთხაშთ მოგვყარეს ტყვიები. სროლაზე მიხვდით, რომ ჩვენ კოლონას საქმე ექნებოდა მოხალისე ადგილობრივ მცხოვრებთან. მათ სროლა იგვიტებეს ძალიან შორიდან და ზარალს ვერ გვაყენებდენ, ვხედავდით რომ პირდაპირი იერიშთ დიდ ზარალს ვნახავდით და ამიტომ ისევ მანევრების გზა ვირჩიეთ. დავტოვეთ ნახევარი ძალა ფრინტზე დამწურივებული, ხოლო მეორე ნახევარი წავიტანეთ მარჯვნიდან შემოსავლელათ. ჩვენ ადვილათ შემოუარეთ და ავიდეთ ერთი მთა, რამაც მტერი აიძულა ერთი მეორეზე დაეტოვებია გორები. ასევე მოიქცნენ ჩვენ მარცხნივ მომქმედი კახელებიც და ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ იცლებოდა აბეგის მთის ქედი ორივე შხრიდან. ჩქარა სამტრედიის და კახელების ბატალიონები გადაებნენ კიდევ ერთმანეთს. კახელები თავის მხარეზე უკვე ასული იყვნენ მთავარ ქედზე. ვიჩქაროდით ჩვენც. ის ავიდა კიდევ დაწინაურებული ნაწილი გვარდიელებისა ქედზე, მტერშა მათ წინ გააჩინა ჯოჯონეთური ცეცხლი და უმაღვე დაგვიჭრა ორიოდე გვარდიელი. საჩქაროთ აცვივდა მაღლა მთელი ძალა ტყვისმფრქვეველებით და მტერი ჩახუმა, ხოლო მის გაქცევაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. აღმოჩნდა, რომ აბეგის გილმა პარალელურად იყო მეორე ქედი. მისი ქს მხარე შემოვლებული იყო მიუვალი კლდებით, რომელთა შუა გაშენებულია ძველი ეკლესია—მონასტერი—სუფ-სარქისი. აქ თურმე მთელი სიმაგრეები ჰქონიათ თათრებს ჯერ კიდევ სომებ-თათართა პირველი ხოცა-ულეტის დროიდან. გამოირკვა აგრეთვე, რომ მთელი ქედი, როკის სამი ვერსი სიგრძით სულ გავსებული იყო მეომრებით. ეტყობოდა მტერს მოეხდინა ქუდზე კაცის მობილიზაცია.

საჭირო იყო გავმაგრებულიყავით და გვეცადა. გვარდიელები უკვე ცდილობდნენ (თავის ინიციატივით) სანგრების გაეკეთებას, მაგრამ მტერი ამჩნევდა და ხელს უშლიდა. ჩვენ ჩამოვიარეთ ხაზი, უთხარით რომ ეს საშუალო ღამე გაეცეთებიათ და შეუდექით მორიგ კითხების მოგვარებას. უკვე ღამდებოდა და ხალხს ჯერ კიდევ არაფრი ეჭამა. არ ვიცოდით სად იყო საბარეულები. საქმეს გვიჭირებდა უწყლობაც: საზოგადოთ ყაზახის მაზრა უწყლო აღვილია. აქაიქ ყოფილა მთებში წყაროები, მაგრამ ვერ მიანგებ, თუ არავინ გასწავლის, რაღაც ღველების შორს არ მიღის, იქვე იკარგება სილა-მიწაში. კიდევ კარგი, რომ აქ მთებზე უხვად სცოდნია მუაუნა. ის ჯერ კიდევ ბაბაკაიარზე აღმოაჩინეს გარეკახელებმა და შემდეგ შადიანათ ვკამდით ყველანი შიმშილისა და წყურვილის მოსაკლავათ.

გავგზავნეთ გვარდიელები საბარგულების საებნელათ და წყლის მოსატანათ, ხოლო ჩვენ შეუდექით ღამის თაღარიგს. ამხ. შარაძე იმ აზრის თუ, რომ ჩვენ მხარეზე საჭირო

იყო ხაზის გაძლიერება. ამის გამო მე თითონ წაფედი კოლონის უფროსთან, ხიმშიაშვილთან, მაგრამ იქ გამოირკვა, რომ კახელების მხარეზეც ესევე შეენიშნათ მტერი და შორაპნელები მათ გასაძლიერებლათ გაეგზავნათ. კიდევ მეტი, მარცხნა კოლონას, ფრონტის გაგძლებისა და მტრის ახალი ძალებით გაძლიერების გამო, ძალა არ ყოფნოდა ჩვენ კოლონას გადაბმოდა და შეუში დარჩენილიყო ცარიელი ადგილი, რის შესასებათ ხიმშიევი თურმე ფიქრობდა იქნებ ჩვენ მოვირჩენდით რამესო...

კველაფერი ეს საჩქაროთ გადასცა ტფილისში გენ. ჯიჯიხიშვილ და სთხოვა დაექცეორებით რეზერვი. შეორე დღეს მოვიდა მხოლოდ ერთი ბათალიონი ქართველები, რომლებიც მიაშველეს მარცხნა კოლონას, ხოლო რომ ჩვენი კოლონის თუნდაც მარჯვენა ფრთა უზრუნველ გვეყო მტრის შემოფლისაგან, იძულებული გავხდით მოგვეხსნა ს. ასლანბეგლიძან საკომენდანტო სამსახურისთვის დატოვებული ვერელების გუნდი და ასე, წინააღმდეგ სამხედრო მეცნიერებისა, ზურგი სავსებით დაცუალეთ. მოვსესნით აღებულ სოფლებიდან სომხის მარადიორთა წინააღმდეგ დაყენებული დარაჯებიც კი. ისევე სამხედრო მეცნიერების წინააღმდეგი იყო ისიც, რომ გვარდია; რომელმაც სამ დღეში მშიერ მწყურვალმა ზედი-ზედ მიიტანა სამი იერიში, რომელმაც გაიარა ბრძოლით 50 ვერსამდე (თუ ვიანგარიშებთ ლრადუებს და ხევებს) და რომელმაც მოკლულ-დაჭრილნი და დაავადმყოფებულნი დასტოვა გზაში 15 პროცენტამდე, ისევ ბრძოლაში იყო ჩაბმული და ისიც განახლებულ მტერთან. მერე როგორ პირობებში: მთელი ღამე წვიმა და მაშასადმე სიცივე, ხოლო დღისით მცხუნვარე მზე, პაპანაქება, თითქო თონეში გადავარდიო. ამავე დროს წყალი ერთი ვერს-ნახევრიდან და თან აღმართიდან უნდა აზიდონ თვით მეომრებმა პატარა ქვაბებითა და ბაკლაშეცებით...

ამ ყოფაში გატარდა 48 საათი, რაც წელიწადათ გვეჩვენებოდა. 15-ს ნაშაუადლევს მტერმა გამოიჩინა კიდევ მეტი ენერგია და ახალი ძალები. განსაკუთრებით აამუშავა ზარბაზნები, რაც მას ეტყობოდა, მოემატა. სცადა ჩვენი თავის მოვლაც, მაგრამ წინასწარ მიღებული ზომების წყალობით (მარჯვენა ჩვენ უკან ერთი მწვერვალი ტყვიის მფრქვეველებით გავამაგრეთ და იმის მოშორებით ვერელები დადგა) ამაზე ხელი აიღეს. სროლა განუწყვეტლივი იყო და დარაჯებიც გვყავდა. თუმცა ამ მხრით მტერს თვალში არ ვრჩებოდით და ხშირათ ვამჩნევდით როგორ გაჰვდათ წრიდან დაჭრილები.

საათის ორი იქნებოდა, როცა მტერის არტილერიამ მოძებნა ჩვენი ქედის ჩრდილო ნაწილი, სადაც კახელები იდგენ, და დააყარა უუმბარები. მთელი საათი სცემდა მათ და მხოლოდ ერთ ადგილს აიძულა ამომხტარიყვენ სანგრებიდან და იქაც ისევ მალე დაბრუნდნენ. ჩვენ მთაზე თავი ვეღარ შევიკავეთ და გადმოვდახოდით: „ვაშა, კახელებო, გაუმარჯოს კახელებს!“

მტრის არტილერიას დუელი გაუმართა ჩვენმაც და გუგუნებდა არე-მარე, ზანზარებდა მთები. ჩვენთან მთაზე ამოვიდა არტილერიის უფროსი კარგარეთელი და თან ამოიტანა ტელეფონი, რომ მთიდან მიეცა ნიშანი არტილერიისთვის. მან საგრძნობლად დააზიანა მტრის ხაზი. ჩვენ წინ ხოლო,

მეორე ადგილიდან იჟ. ვასაძემ აღმოაჩინა მტრის ბატარეა და ერთხანს ჩააჩუმა, მაგრამ ერთსაც უდიდეს უფრო შემოვა შემოვა უუმბარები ბატარეაზე, ხოლო გადატელი გვიანებდა. ჩამოვარდა ორივე მხრით სიჩუმე.

ჩვენ გვაფიქრებდა ამიღამ ფრონტის შუაგულის დაცვის საკათხი, სადაც მტრის ზარბაზნები აამუშავეს. მე და ზარაძე წავედით იქით, რომ დაღამებამდე დაბრუნებულიყავით ისევ სამტრედიელებთან. გზაში შარაძე ცუდათ შეიქნა (წინა დღეს ავათ გახდა) და დარჩა სამტრედიელების მარცხნა ფრთასთან, ხოლო მე ოფ. წულეისკირთან ერთათ გადავედი კახელებთან. იქ ამხ. ხარაში და პრუსეციი მსჯელობდენ იმაზე თუ როგორ გაემაგრებით ღამე არტილერიისგან აშლილი სანგრები, ხოლო იქვე სათნოების დები ექიმის ხელმძღვანელობით უხვევდენ და სტუმრებდენ ორიოდე დაჭრილს ცვალანი სიცილით მოგვეგებენ. იქვე შორაპნელები „სიმონიკა გოცაძეს“ მდეროდენ მისივე მონაშილეობით. ჩვენ გავებით თავისუფალ ბაასში.

ის იყო დასაბრუნებლათ ვემზადებოდით, ვემშვიდობებოდით ამხანაგებს, რომ კანტიკუნტ სროლას გახმირებული სროლა მოჰყვა თოთვებიდან და ტყვიისმფოქვეველებიდან. უცბათვე ააუშავდა ჩვენ თავზე მტრის არტილერიაც. ყუმბარები სულ ახლოს გვივლიდა ხან ერთ, ხაა ძორე მხოით და იქვე ჩვენ უკან სკდებოდა. ხუმრობა და ენაბახვილობა მაინც ამ შეძლილა და ჩვენ სიცილით გამოგვაცილეს ამხანაგებმა. როგორც კი ყუძბარის ფოთის ფრიალი ძოისძოდა, ამხანაგები უკანიდან გვამდებდები: ძოვიდა, ძოვიდა, ვეღარ წახვალ, და ჩვენც როგორც კი უცხებლას დავიჩეაოდით, მიუბრუნდებოდით და ნიშანის მიგებით ვურასუხებდით: ვერ—ძოგართვითო. პრუსეციი ძალებ ხარაპერდა. ვინ იცოდა, რომ ეს მისი სიცილი ისე ჩქარი შესწყდებოდა: შემდეგ გავიგეთ, რომ მტრის ყუძბარებია თურდე სავალი გზა „შეიძოკლეს და მიგ სახგრებ მი გასკდა რაბდებიდე ცალი. ერთი ხასეთქი პრუსეცის თავში მოხვედროდა და მძიეთ დაჭრილი წაელოთ ძოსოლის ვეღიდას. დღეს ის ლაზიოეთში ჸევს და იიედ იქვე გადაიტას რთული თავითის შედეგს. სუბუქათ დარილიყო ერთი სათხოების დაც.

უე და წულეისკირი დაგორუნდით იქ, სადაც შარაძე დაფრივეთ. იქ იყო ბატარეის უფროსი ვასაძეც, რომელიც ძალიას სწუბდა, რომ ყუძბარები არ მოდიოდა და მტერი ასე დაუსჯელათ ისროლა მაშინ, როცა მან უკვე იცოდა მისი და ასე ადვილათ შეეძლო მისი ჩაჩუქრა. აქვე ჩამოვიდ კარგარეთელიც. გავებით ლაპარაკში.

ამ დროს მოიღორუბდა კიდეც და ყოველ წუთს ველოდით წვიმას. ჩქარა მართლაც დაუშვა კოკის პირულით, რასც ფრონტიც კი ჩააჩუმა. ჩვენ ხაზის უკან ხის ძირში ხახად კვეშ შევქუჩდით და გსცდილობდით თავი მაინც დაგვერიდუნი მტრისთვის.

უვიმა ჯერ კიდევ არ გადაედო, რომ შორიდან ბრძოლის გარაზოველება ისმოდა. ეს ჩვენ მარცხნა კოლონაზე იყო. სროლა ნელ-ნელა ჩვენ კოლონაზედაც ახლდებოდა, უმთავრესათ კახელებისკენ. უცბათ მტერმა ჩვენ ფრონტებზე დაც ასტეხა გრიგალისებური სროლა, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ტყვია ჩვენსკენ არ სისინებდა ჩვეულებორივათ. აშკარა იყო, ჩვენსკენ არ ისროდენ. ჩვენ ყველანი გამოვა დით წვიმის საფარიდან და ავედით ქედზე. ჩვენი გვარდიე-

ლებიც გაკვირვებით ათვალიერებდენ მტრის ხაზს. იქ მთელი ფრონტი ზეზე წამომდგარიყო, თოფი თვალდასანახავათ უკან შეებრუნებიან და აძლევდა იქით „ზალპს“. სომხები ხომ არ დაეცენ უკანიდან“ - ა მმოპატარი ჩვენები. ეს რიღაც სამხედროს ეშმაკობათ, — შენიშნა კარგარეთელმა და დაუმატა: ნუ ვკარგამთ, მოგსუხოთო. ოფიცირებმა მაშინვე გადასცეს ფრონტს ნიშანი და ჩვენმა გვარდიამაც ერთბაშათ მიაყრა სეტყვა თოფებიდან და ტყვიისმფრქვეველებიდან.

თარებმა უმალვე იკადრეს დაწოლა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ძალიან ბევრი წვებოდა არა-ბუნებრივათ. დაწოლისთვანევ თოფები ჩვენსკენ მომართეს. ამ დროს ერთი გვარდიული მოვარდა და ხმა მაღლა გვითხრა, რომ მარჯვენა მხარეზე გვარდია უკან იხევსო. კარგარეთელმა ამბვის მომტანი დასტუქსა, მაგრამ წასვლა და სინამდევილის გაეგბა საჭიროდ დაინახა. ჩვენ წავედით უკან ცხენოსნებისაკენ.

ჯერ კიდევ ათი საუენი არ ვიქნებოდით გაცილებული სანგრებს, რომ ჩვენი თანამგზავრი ოფიცერი წულებისკირი ქრიშხალისაგან გაღატებილ ალვის ხესავით წაიქცა. მე იქვე ხის ქვეშ მდგარ გვარდიელებს მივაძახე: „მიეზველეთ, სანიტარებს დაუძახეთ“ და განვაგრძეთ გხა.

ჩვენ დაუზოგავათ გვახტუნეთ ცხენები, მაგრამ ავიარეთ თუ არა ერთი სერი, მაშინვე შეენიშნეთ, რომ მარჯვენი სულ მაღლი ქედიდან, რომელიც ეჭირა სამტრედის ბათალიონის ერთ ნაწილს, გვარდია მოხსნილიყო და გამშკრივებული მოდიოდა. თვით მაღლობზე უკვე მტერი იღვა ჯვუფად და ქართულ ენაზე რაღაცას მოსახლეობა ჩვენებს. მივაჰინეთ ცხენები, მაგრამ ვერავინ ვერ აგვიხსნა საქმე რაში უყო. ცხადი იყო მხოლოდ ერთი, რომ მაღლობის ერთ კუთხში სამტრედიელებს მტერი ამოპაროდათ და კუთხე მოულოდნელათ ხელთ ეგდოთ. გუნდს მოჩვენებია, რომ მტერმა შექოუარა და გზას უკრის, რის გამო მაღლობი დაუცულია. როგორ ამოეპარა მათ მტერი, ჯერაც გამოურკვეველია, რადგან ქედის იმ კუთხის მცველნი (20 კაცამდე) ტყვეო დარჩენ. ამბობენ მხოლოდ, რომ მტერი შემოეტყუა სომხებათო, რაც ჭიუასთან ახლო უნდა იყოს.

იმ მომენტში, რასაკვირველია, ჩვენ ამაზე. მსჯელობას ვერ გავყვებოდით. საჭირო იყო ახალი პოზიციის, ახალი ხაზის სახელდახელოთ დაქრა, რომ მტერს ფრონტი არ გაერღვია. კარგარეთელმა უკვე იღნიშნა ასეთი და ჩვენც ცხენდა-ცხენ დატებოდით და ამ ხაზე ხალხს ვაყენებდით. მტერი მიხვდა ჩვენ მოძრაობის მიზანს და გვაყრიდა ახალი მაღლობიდან ტყვებს, რომ ხელი შეეშალა, მაგრამ ჩვენ მაინც შეეძელით ახალი ხაზის გასწრივ ფრონტის გამარივა, იქ ტყვიის მფრქვეველების დადგმა და პასუხის გაცემა, რითაც მათ თავების სახლვარი დაედო. იქვე მოვიდა საჩქარო საშველიდ გამოგზავნილი შორაპნის ბათალიონის ერთი გუნდი, რომელმაც ახალი ხაზი შეაერთა დაუშლელ ხაზთან მათ უკან ცარი უკრაკის დაქრებით და გვინდა და ჩვენი ხაზის სწორი მაღლობი და გვინდა და გვინდა გამოგზავნილი შორაპნის ბათალიონის უფროსს, რომელმაც ის ამბავი მოიტანა, რომ უნდა დავიხიოთ, ხოლო სად და რომელ ადგილზე, ეს კი დაავიწყდა. ამის გამო ჯარს უკლია შინილოვამდე და თვით წითელ ხილამდე.

ნაც. კახელების მდგომარეობა გაუარესდა იმითაც, რომ მტერს შეეძლო ახალი მაღლობიდან მათვების უკანდან და გამოვთქვი მათ მიერ უკანდან და გვიღებდით სამტრედიელების მიერ დატოვებულ მაღლობს, რასაც ამავე ღამეს ვერ შევძლებდით (საჭირო იყო მანევრები). კარგარეთელმა ჩემი ეჭვი არ გაიზიარა: ჩერა დაღამდება და ბრძოლა შეწყდება, ხოლო გათენებისას საქმეს გამოვასწორებ როგორმეო.

ჩვენ მაშინვე გავინაწილეთ როლები. ბატალეის უფროსი ვასახე, რომელიც კარგარეთელივით ქვეითა კომანდირათ გავიდა კრიტიკულ მომენტში, ბატარეაზე წავიდა, შარაძე წავიდა ხევს გაღმა გასულ ვერელებთან, მე დამტოვეს ახალ ხაზზე, ხოლო კარგარეთელი წავიდა კახელებისკენ, სადაც ახლოს ტელეფონიც იყო, საიდანაც ხიმშიევს და გენერალსაც უნდა მოლაპარაკებოდა. ცოტა ხნის შემდეგ მე შევნიშნე კახელების ხაზიდან დახევა ნაწილობრივათ. ასევე ხდებოდა მათ და ჩვენ უკან ხაზზე მდგარ სამტრედის ერთი გუნდისკენ და მერე შორაპნელებისაკენ. რაშია საქმე? მე იქით გავაქანე ცხენი მაგრამ წინ შემოევება სამტრედის ბათალიონის უფროსი და მითხრა, რომ სარდლიდან ბრძანება მოსულა არსებულ ხაზის სულ დატოვების შესახებ და ამას ასრულებენო. უნდა დაგვეხია ჩვენც, მაგრამ ვატყობდით საშიში იყო ასეთ დროს დახევა; ჯერ არ დაღამებულიყო და მტერი ხედავდა ჩვენ მოძრაობას და მას შევძლო ესარგებლა მით. ჩემი შიში არ გამართლდა და, როგორც შემდეგში გამოირკვა, არ გამართლდა იმიტომ რომ მტერი დიდი ზარალის გამო, თურმე დასახევათ ემზადებოდა. მისი ამ საღამოს დაუქინებული აქტივობა და სამხედრო ეშმაკობაც თურმე იმისთვის იყო, რომ დაღამებისათანავე ფრონტი შეუმჩნევლათ მიეტოვებია. ჩვენ მაშინ ეს არ ვიცოდით და ამიტომ საჭირო ზომებს ვიღებდით. მე დაუწინაურდი გვარდისას და როგორც კი ხევის გამოღმა ვაკეზე ავედით, ერთი ნაწილი სამტრედიელებისა და გუნდი ცირილისა გავაწყვეთ და უტეხეთ სროლა მტერს, ხოლო დანარჩენი გაუშვით. შარაძემ ჩამოიყვანა მარჯვნიდან ვერელები იმავე ველზე და მწკრივათ გაემართ უკან, რომ ჩვენ სწორი ხაზი დაგვეჭირა. ამავე დროს შორაპნელების. ორ გუნდს ეჭირა უკანასკნელი მაღლობი ჩვენს გაღმა და ცეცხლს ინთებდა მტრისკენ ცველა მაღლობებზე. მხოლოდ კარგათ დაღამების შემდეგ, როცა დარწმუნებით შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ჯარი ახალ პოზიციებს უკვე დაიკრედიტება, მოიხსნა ესენი. უბედურება იმაში იყო მხოლოდ, რომ ჩვენ არ ვიცოდით სად დანიშნა სარდალმა ეს ახალი პოზიციები და არც მოდიოდა არავინ ამის სათქმელათ: არ იცოდა ეს არც წასულმა ჯარმა და თურმე არც მათ შეხვედროდა ვინე წინ ამის მოქმედი. მოხდა გაუგებრობა: თურმე ცველა ეს ტელეფონით უთხრეს კარგარეთელს, ხოლო მან სიტყვიერათ გადასცა ბოლქვაძეს სამტრედის ბათალიონის უფროსს, რომელმაც ის ამბავი მოიტანა, რომ უნდა დავიხიოთ, ხოლო სად და რომელ ადგილზე, ეს კი დაავიწყდა. ამის გამო ჯარს უკლია შინილოვამდე და თვით წითელ ხილამდე.

მე შტაბის „ვესტაფონის“ თანხლებით ასლანბეგლში ჩაუხვიე, რომ შტაბში მაინც გამეგო რამე, მაგრამ შტაბი უკვე მოეხსნათ. დავყევი ქვეით, რაღანაც ხმა ისმოდა და წავიწყდა.

ყლი ღამეში კარგარეთელს, რომელსაც თავისი ცხენი დაჭრილისთვის მეტა და ფეხით მოდიოდა მისგან გვიგებ ახალი პოზიციები და ამის მხედვით დაუწყეთ ძებნა ხაზსა და შტაბის ახალ ბინას; მაგრამ ვერაცერი ვერ ვნახეთ. პირიქით, გზა დავუკარეთ მინდორში და არ ვიცოდით საით მივდიოდით. იძულებული ვიყავით უკან დავბრუნებულიყავით და მდინარის მიმდინარებაზე აგველო მიმართულება (კომპასი ზედ არ დაგვირჩი), შემდეგ წამოვედით დასაელეოთისკენ. გზაში შარაძე და თუთხერიძე შეგვხდა ტრამვაიელების გუნდით, რომელთაც ასევე გზა დაბნეოდათ ბნელაში და აღმოსავლეოთისკენ მიღიოდენ გამოვაბრუნეთ, წამოვედით და ცოტა სიარულის შემდეგ წავაწყდით შიხალოსკენ მიმავალ გზას...

უკვე მზე საკმაოთ მცხუნვარე იყო, როცა წითელ ხიდს მოუახლოვდით. გზაში ლადო შემოვგვევება და გავიგეთ, რომ ალექსანდრე ორი გუნდით ჯერ კიდევ არ მოსულიყო და ყველა ჩევნზე სწუხდა. ის და ვალიკო ამ დილას ჩამოსულიყვნენ თფილისიდან და ეხლა იმის ცდაში იყვენ ახალი პოზიციები ჩქარა დაექირათ, რომ მტერს არ ესარგებლა.

იქვე შიხალოს მაღლობზე ჯიჯიხია აწყობდა კახელებს, ხოლო მე გავყევი შორაპნელებს ბაბაკიარზე. დაზვერვის შემდეგ გვარდიამ დაიკავა კაკილიც და მის წინ მდებარე მაღლობებიც. მოვიდა რეზერვიც და ახალი ძილებით დავიკავეთ კაიმახლუს მაღლობებიც. ამასობაში დავისვენეთ კიდეც, მივიღეთ პატრიონები და უუმბარებიც და ის იყო საბოლოო შეტევაზე უნდა გადავსულიყავით, რომ მტერი საქსებით გაგვენადგურებია, მაგრამ მან მოიხოვა ზავი და თფილისმაც გაღმოგვცა — სროლა შეგვეწყვიტა...

4. დათიაშვილი.

ნ ე პ რ ო ლ ი გ ი

ამშ. ვალაქელინ მაისურაძე და ალბრეხტი.

თავისუფალ ქვეყანას ყველაზე უსაშინელესი მტერი მოადგა კარს.

უხეში ძალა წალეკას გვიქადდა.

ქართლის სახ. გვ. ორ ფრონტს მიაშურა — ცხინვალისა და წითელ ხიდის. ბრძოლა გაჩაღდა სამკედრო სასიცოცხლო. კვლავ წარმოვეტიმა წინ ყოფნა არ ყოფნის საკითხი.

სახ. გვ. ისტორიული მისის სრულება ხელა არა ერთხელ წილად.

იმედები გამართლდა და ჩევნ ყველგან გამარჯვებული გამოვდივართ.

იმ საშინელმა ბრძოლამ ბევრი მსხვერპლი შეიწირა და ჩევნს საყვარელ ოჯახს ძვირფასი მეგობრები მოსწყდა სრული და უდრივოდ.

ასეთი იყვნენ ამხანაგები გალაქტიონი და ალბრეხტი.

ამხ. გალაქტიონი ჯერ სიცოცხლით აღვსილი 27—28 წლ. იშვიათ აღაგს იკავებდა ხოლმე სახ. გვ. ოჯახში. ხაშურის გვარდიაში დაწყო მან პირველათ. მუშაობა უბრალო გვარდიელის თანამდებობაზედ — შემდეგ აღგილი გვ. ოფიცრობისა დაიკავა, როგორც არა ერთ ბრძოლაში გამობრძებილმა და სამხედრო სპეციალობაში მულდნენ.

1918 წ. აპრილიდან ის ხაშურის სახ. გვ. ორ მოშორებია და არ ყოფილი ათავსმის არც ერთი სერიოზული ფრონ-

ტი, რომ მას მონაწილეობა არ მიეოოს. ის როგორც ნამდვილი რევოლუციონერი, სულით თავისუფალ ქვეყნის უკავიარებული განთვისუფლებულ ქვეყნის უკავიარებული მხად იყო მსხვერპლიდ შესწიროდა მოგალეობას.

ოხუნჯი, მუდამ მხიარული და თავის თრიგინალური სულიერი იღფროთოვანებით — მუდამ აღრთოვანებდა ხოლმე — რაც — უნდა გულ-გარეხილი ყოფილიყო ვინმე.

ის ცოტას ითხოვდა — დიდს საქმეს ემსახურებოდა და ცოდა, რომ ჩევნი ბედი ჩევნივე გამოსაჭედი.

გვ. ალბრეხტიც, ტომით გერმანელი, დღიდან გვარდიის ორგანიზაციისა ხაშურში თვალისაჩინო წევრათ ითვლებოდა და თვისი მოგალეობის სრულის შეგნებით მსახურებდა გვარდიაში.

აღერბეიჯანის ფრონტმა შეიწირა ეს ორი ამხანაგი 15 მაისს მტრის ტყვიამ გული გაუგმირა არივე მათ და სრულიადმოულოდნებლად მოგვწყვიტა.

30 მაისს, დიდებულად დასაფლავეს ამხანაგები ქაშურში — ზღვა ხალხი დაესწრო მათ დასაფლავებას.

უკველა დამსწრე გრძნობდა, რომ დაცემული მსხვერპლთა ნეშთი ძვირფასია...

მათ გმირულად შესწირეს თავი დემოკრატიის ბედნიერებას — მათ არ აშინებდათ სიკვდილი და იკი უშიშრად გმირულად დასდევეს თავი საზღვარის დასაცავად.

ეს იშვიათი სიკვდილი, მარვენებელია იმისა, თუ რა შეუძლია თავისუფალ ქვეყნის შვილებს და იმისაც რომ სისხლით მოპოვებულ რევოლუციონერ მონაპოვართ უბრძოლველად ჩევნ არავის დაუთმობთ. მუშათა კლასის მესაიდუმლებ ჩევნმბლადმა გვითხრა „ან სიკვდილი ან გამარჯვებაო“ და აი ეს გამარჯვებაც.

მოგვწყდა... იღარ გვყავს... გაგვაშორეს დროებით...

მათ ადრე შეეწყვეტინეს მაჯის ცემა, მაგრამ დარჩენილი ამხანაგები მომენტს და დროს ეძებენ მათებრ ვაჟკაცურად მოიხადონ თავიანთი ვალი.

ხაშურის სამო სასაფლაომ კვლავ ჩაიკრა თავის გულში ძვირფასი გვაძები.

1917 წლის „დაშნაკცაკანთა“ მეოხეობით გაჩაღდებულმა სომებ-ქართველთა ომმა საუკეთესო გმირი — ამხანაგები. შეიწირა.

1920 წლ. გაკომუნისტებული აზერბეიჯანის მუხანათურ თავსეღურმა თავდასხმამ — კვლავ გამოგვაცალა ხელიდან იშვიათი საყვარელი ამხანაგები.

ჩევნ შევეჩიეთ მსხვერპლებს, მოგალეობათა ასრულებანი თავისის მოითხოვენ.

ჩევნ მზათა ვართ და გალაქტიონის და ალბრეხტის ლაში, მამაცური — სიკვდილი იმას მოშორდენ.

დეე!.. ყველა ურწმუნო დარწმუნდნენ, რომ საქართველოს დემოკრატია მისი ენერგიული დამცველი სახ. გვარდია არავის ნებდება და მისი წმიდათა — წმიდას სივანეს საქართველოს ბედ-იღბალს არავის ჩაბარებს.

ჩევნ ვეძებო მომენტს ისევე ზედმიწევნით შევასრულოთ ჩევნი ვალი თავისუფალ ქვეყნის წინაშე, როგორც ამხ. გალაქტიონმა და ალბრეხტმა.

თქვენი სიკვდილით თქვენ უკვდავყავით მეგობრებო თქვენი სახელი.

შევიდობით...

საუკუნოდ იყოს თქვენი ხსენება...

თქვენი მოყვარული. ლიგა.

დე მოგემდეთ!..

ბიჭებო! მჭიდროთ შემოკრძით,
ყველი გასწორდით წელშია!
მშობელი ტანჯვას ეძლევა,
სამშობლო განსაცდელშია.

შავი ტალღების გუგუნი
ჩვენს საზღვრებს უახლოვდება...
მაისში ვარდი გვიჭინება,
და სევდით გული ღონდება.

ცხოვრება დამშვიდებული
ბოროტის ხელით ირღვევა...
არ გვასვენებენ — უმანკოთ
სისხლი და ცრემლი იღვრება..

დე, მოვკდეთ, თუ კი სამშობლო
დაგვრჩება მანდილ-ახდილი...
არ გაუმართლოთ ჩვენს მტანჯველთ
ბოროტი გულის წადილი!

მაშ, ხელი ფარ-ხმალს? მოხუცო,
ქალარავ, ახალგაზდებო!
ფური, ორგულს და სულით მხდალს!..
თავდაცვისათვის წინ, ძებო!

სხვისი არ გვინდა, და ჩვენსას
არავის მივცემთ ნებითა...
ყველა ჩავდგებით ჩვენს რაზმი...
წინ! ბრძოლის სიმღერებითა!

შავი ღრუბლები მოცურავს,
მოშეულის გააფთრებული...
დე, მოვკდეთ! ოღონდ სამშობლო
დავსტოვოთ აყვავებული!

დ. მეჩონგურე.

ჯარის-კაცთა წერილები.

საყვარელო დედ მამავ!

გიძღვნით გულითად სალამს და გისურვებთ ცხოვრება-
ში ყოველივე კარგს, იმედია ჩემს აშმავს იკითხავთ, მე ძლიერ
კარგათ ვარ ჯერ-ჯერობით, აწი კი მომავლის საქმეა.

მივიღე თქვენი გამოგზავნილი წერილი, რამაც მართა-
ლი გითხრათ გული შემიწუხა.

მაშა ჩემო, შენ შეგნებულ კაცად გთვლილენ ჩვენს
გვარში, რადგან ყოველივე საქმის გაკეთება რიგზე და თა-

ვის ღროზე იცოდა, მაგრამ ეხლა როგორ უკრძალული უფ-
რო შეგნებული გამოვსულვარ შენზე. გიგლიორის

შენ ძმერი: რა არის შვილო ამ „სალდათობას“ ვეღარ
მორჩიო, ნუ თუ ტყუილათ დაადგინდა ამ ოჯახ-აშენებუ-
ლებმა, რომ სამსახურში წელიწადი და რეა თვე უნდა იმსა-
ხუროვო და შენ შვილო რა წელიწადი ნახევარიც შეგი-
სრულდაო, მე შვილო შენგან მოველოდი შველას, მეგონა
განთავისუფლდები, ჯამაგირში ჩადგება და ცოტათი ოჯახს
ხელს შეუწყოფო, სარჩო ძლირ გვაძ და ერთი და მეორეო.

მამა ჩემო, არ გეუბნ ბოდი, რომ ოჯახში დაიჩინილი
კაცი გარეთ წასული კაცის იმედით არ უნდა იქვებებოდეს
მეოქვი და მერე ისიც ჯარში წასულის, აკი გელაპარაკებოდი
რომ სანამ ბლობად იყო ჩვენს სოფელში სიმინდი და პური,
ეხლავე ისესხე ფული და იყიდე წლის სარჩო და მერე რო-
გორც იქნება ვალს გავისტუმრებო, მაშინ ფულს ას მანეთად
ყადულობდი და ეხლა ათასი მანეთი უნდა, აბა შეადირე?
შენ კი თურმე ჩემი იმედი გქონდა; იმას გაანთავასუფლებენ,
ჯამაგირში ჩადგება და მის შემოტანილ ფულით ვიყადი სი
მინდსო.

მაგრამ ამას თავი დაგანებოთ, შენ და შენი ბიძაშეილი
არ ბრძანდებოდით, რომ წრეულს ზამთარში თქვენს მეზობ-
ლებიდან შეისყიდეთ სიმინდი და ძაბა*) და გამოატანეთ თქვენს
უნკრის ვაეგბს ქალაქში გასასყიდლათ, ის ძალიან გაეგხარ-
დათ მეონი რომ თითოს ათ ათი ათასი მანეთი ჩამოგიტა
ნეს, მაგრამ იმას კი ვერ გრძნობლით, რომ ის; თქვენი უკა-
ნასკნელი ლუკმა იყო, რომელიც ამოიძვრეთ პირიდან და
ეხლა კი შიმშილობას განიცდით.

ასეთი მოქცევის შემდევ შიმშილი ახია თქვენთვის, მაგ-
რამ რა ვქნა რომ მეც სიმწუხარეს განვიცდო.

— სამსახურის გათვების შესახებ, მამა ჩემო, ეს ჩემი და
თქვენი საქმე არ არის, ვინაც ჩემ ჯარში წამოგვიყვანა,
ამათ ჩვენი გაშეგბის ღრუბლები კარგათ იციან. ვერ უყურებ
რომ ირგვლივ ჩვენს კეკლუც სამშობლოს მტრები დასაგვრას
უპირებენ, განა მას დარაჯობა არ უნდა, განა შენი და სხვა
მრავალის შეიღები რომ არ ვკუთ აქ ას წმინდა საზარაჯო-
ზე, თქვენ და თქვენი მეზობლები მაგრე მყულერთ იცხოვ-
რებდით. ნუ თუ ვერ გრძნობა საიდან მოიპოვეთ ეგ თავი-
სუუალი ცხოვრება, თავისუთლად ყანაში მეშაობა, და თავის-
უფლად სუნთქვა შენს მიწა-წყალზე და შენს ოჯახში.

მართლა, მამა ჩემო, რომ იწერები; ჩემი დამხმარე იყო
ჩემი მეორე შეალი, ევენი, რომელიც ბაიუში „დეპაში“
მიახურებდა და ეხლა ისიც რაღაც გვარდიაში ჩაწერილოთ
და ვი თუ, შეალო, ოშშიც კი გაგრძენონ.

მერე აქ რა არის სამწუხარო, მამა ჩემო?

განა მოხარული არა ხარ და არ ამაყობ, რომ სამშილ-
ლოს და შენივე თავის დასაცავი რომ შვილი გაყავს სადა-
რაჯოზე. მაშ რასი გვარდიელია ან ჯარის კაცი, რომელიც
ომში არ გავა და მტრებს ქართველურად არ გასცეს პასუხს.

მე ძალიან მიახურული ვარ, მამა ჩემო, აშიო, რომ შენი
შეიღები ბრწყინვალედ შეასრულებენ თავიანთ დავალებას
სამშობლოსადმი.

*) ძაბა მოჰყავთ იმერეთში, რომელიც მცხოვრებლებს სიმინდის
მაგიერბასაც უწევს ხოლმე შიმშილობის ტრის.

ნუ სწუხარ, მაშა, პატარა ხანს გვაცალე, ჩქარა იმ ინ-
გლისელებსაც გავისტუმრებთ ბათუმიდან და მოესტეხთ კა-
სერს ისე როგორც მატყუარა ადერბეიჯანს და დაწყება
ჩვენი ქვეყნისთვის ახალი ცხოვრება. ბათუმს და აჭარას და-
ვიქერთ, უცხოეთისკენ გზა გაიხსნება, და შემდეგ გვეწება
იავზე საყრელი სიმინდიც, პურიც და ყოველისფერიც.

მაშინ, რა საკვირველია, სამსახურიდანაც განთავისუ-
ფლდებით.

ახლა კი მშვიდობით, უკვე მეცადინეობა გვეწყება და
საწერათაც აღარ მცალია შენი შილი ჯ.-კ. აგარი ფ.

პატივცემულობა და თამარ!

მართალია, ჩემი წერილი არ არის ვრცელი, აქ გაჭიანუ-
რებას არ აქვს ადგილი, მაგრამ დამერწმუნე, რომ, მისი ში-
ნაარსი, ორიოდე მგრძნობიარე სიტყვებით მკაფიოთ აიხსნება.
ჩემდა სამწუხაროდ თქვენ მიერ მოძღვნილმა „ნობათმა“ წე-
რილითურთ ამ უკანასკნელ რიცხვამდე ძლიერ მოაღწია ჩე-
მამდის; ამიტომ, მიღების უმაღლ ვწერ ამ წერილს, და გიდ-
ლენით წრფელი გულით უღრძეს მაღლობას. როდესაც მივი-
ღე საჩუქარი გავხსენი და ამოვიღე შიგნიდან პატარა წერი-
ლი და გადავიკითხე; რა შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზედ,
ან რა ნაირს სილმობიერებას ვგრძნობდი მაშინ, ან კიდევ რა
ნაირის ფიქრებით ვიყავი გარემოცული, ამას თქვენი მეტ-
ყველი გონება ნათლათ წარმოიდგენს... ასე ჩემი ძვირფასო
დაო, ვერ შემიძლიან გამოვსთქვა ყოველივე ის, რაც ამ
დროს ჩემს გულში ტრიალებდა...

თურმე ყოფილა ისეთი წამიც, ადამიანის ცხოვრებაში,
რომელიც კაცს ვერ შეუძლიან გამოსთქვას თავისი აზრი, და
მღელვარება მეტის-მეტის ბეღნიერების და სიხარულისგნით...
მეც ეს შემთხვევით თუ სასწაულით, მომიხდა პირველათ შე-
ხვედრა, ამ ზემოხსენებულ ჩემის სიტყვებთან; კვალად უნდა
მოგახსენო რომ, ვერ გამოვსთქვი, ვერ გამოვსთქვი მეტქი
ჩემი ამ დროს მდგომარეობა თქვენდამი გამოსაგზავნათ; რა-
საც მარტო ცრემლებს-და შეეძლოთ, წვეთ-წვეთად ჩამოდე-
ნით მკაფიოდ ახსნა... იმ დროს როდესაც, ბ-ნ ფრონტის
დამხმარე მთავარი კამიტეტის საშუალებით, რომელმაც დი-
დი და დაუღალავდ შრომა გაეწია: დაგვირიგდა რა ძღვენი
ჩვენ, ფრონტზედ მდგომი ჯარის კაცნი დიდ სიამოვნებას
განვიყდით... მჯერა, და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ,
ჩვენი დებიც კი, ყოველს თქვენს ენერგიას ხმარობთ, რათა
თანაგრძნობა გაგვიწიოთშ... მოგწერამდით ყოველისფერს
თუ რაიმე ცუდს მდგომარეობას ჰქონდა ჩვენში ადგილი,
თუ რაიმე ნაკლებულება გვკონდა; მაგრამ არავითარს შე-
წებებას; არავითარს ნაკლებულებას არ ჰქონია ჩვენში ადგი-
ლი. კვალად უნდა მოგახსენოთ რომ, როდესაც ჩვენ გვეწოდება
„მხედარი“ უნდა გადავიტანო, დიდის მოთმინებით ყოველივე
ის, თუ რაიმე შეგვემთხვა, ჩვენი დაბრკოლებანი... ამის სისრუ-
ლეში მოყვანას გვიძრდანებს ჩვენი „შინა სამსახურის წე-
დება“... (იხ. მე-2 მუხ.) ასე ჩემო უპატივემულესო დაო!
იმედია უპასუხოთ არ დამტოვიბთ, და როგორც თქვენს ძმას,
წერილების მოწერით მიინც მზრუნველობასა და თანაგრძნო-
ბას გამიწევთ, რასაც დიდის აღფრთოვანებით მოგეგებებით,
და შეც ერთი ათასად მაღლობას გადაგიხდით...

კეთილი იყოს პირველი ჩვენი დამშური შეხვედრა!..

ჯ-ს კ-ც მე-5-თე ქვ. ათას. 1-ლი გუნდისა:

ალ. სკ—o.

სანაბირო ფარში კულტურული მუშაობის შესახებ.

უურნალ „მხედარში“ ბ. წ. 6 ტრიუმფისტური მო-
თავსგბული წერილი შემდეგი სათაურით „კულტურული მუ-
შაობა სანაპირო ჯარში“ ამ წერილის ავტორის ფსევდონიმით
„ბ. გ.“, როგორც სხანს ირამუ თუ იცნობს მიზანს რესპუ-
ბლიკის სანაპირო ჯარის დაწესებულისას, არამედ არ აქვს
წარმოდგენა იმაზე, რომ როგორც მე, აგრეთვე ჩემი თანა-
შემწე ჯარში კულტურულ მუშაობის შესახებ, მრავალ ჩვე-
ნების გარდა, მრავალჯერ ვბრძანებდით სანაპირო ჯარში
ამის შესახებ და ყოველთვის მიუთითებდით იმ ზომებს, რო-
მელიც დაუყონებლივ უნდა გატარებულიყო ჯ.-კაცთა წერა-
კითხვის შესწავლისათვის და საერთოთ მათ განვითარებისა-
თვის.

ბ-ნი ბ. გ. სწერს... კულტურული მუშაობა სანაპირო
ჯარში მხოლოდ ეხლა იწყება ეტყობა, რომ ის არ ყოფილა
გაცნობილი სანაპირო ჯართან და დაუწერია ის რაც მოსაზ-
რებია ანგარიშის მიუცემლით.

ჩემი სანაპირო ჯარის უფროსის თანამდებობის შედგო-
მისმანავე მე გავეცი ბრძანება, რომ სანაპირო ჯარში მოწ-
ყობილი ყოფილიყო ჯარის-კაცთა სწავლება წერა-კითხვისა;
გამოწერიათ უურნალ-გაზეთები და მოეწყოთ სადაც შესაძლე-
ბელი იქნებოდა სამკითხველოები. ჩემ მიერ არა ერთხელ
რაზების დათვალიერების დროს, დავრწმუნდი ჩემი ბრძანე-
ბის შესრულებაში, ყოველს რაზმი ჯარის-კაცთათვის არის
გამოწერილი გაზეთები, უურნალები, ჯასხნილია სამკითხვე-
ლოები და ოფიცერები ასწავლიან მათ წერა-კითხვას.

მართალია ყოველს ბინაზე თავის დროზე ვერ მიდის
უურნალ-გაზეთები, მაგრამ ეს გამოწვეულია ტენიკური მიზე
ზებით.

ტყუილა წარმოუდგენია ბ-ნ ბ. გ., რომ სანაპირო ჯარ-
ში კულტურული მუშაობა არ ყოფილა და ის აწი უნდა
იქნეს დაწესებული, მე ვეკითხები მას საიდან გაიგო მან ის
ცნობა, რომ კულტურული მუშაობა არ იყო, ბრძანდებოდა
თუ არა ბ-ნი ბ. გ. რომელსამე რაზმში..... სანაპირო ჯარში
მოსახერხებელია ლექციების მოწყობა. ამის განხორციელება
შეიძლება ისეთი ადგილებში, სადაც ერთ ადგილს რამდენიმე
გუნდი სდგას, მაგალითად: ფოთში, დუშეთში, იხალციხეში,
სიღნაღმში, შულავერში და სხვა.... ემზნევა, რომ ბ. გ.-ბ არ
იცის თუ როგორი როგანიზაცია არის სანაპირო ჯარში: მი-
სი სიტყვებით, რომ ვითომდა მის მიერ ჩამოთვლილი ქალა-
ქებში იდგეს სანაპირო გუნდები, სიმართლეს არ შეესაბამება,
რადგან ჩამოთვლილი ქალაქთა რიცხვში არიან ისეთი ქალა-
ქები დასახელებული სადაც სრულიათ არ არის არც ერთი
სანაპირო ჯარის ირამუ თუ ნაწილი არამედ ერთი ჯარის-
კაციც, ამის გარდა ვერსად გერ ნახავთ სანაპირო ვუნდს სა-
ნაპირო ჯარის პირები (ჯ.-კაცები) დგანან ბინებზე და გან-
ყოფილებებში არა უმეტეს 10—15 კაცისა.

უმჯობესი იქნებოდა ბ-ნი ბ. გ. ჯერ გაცნობოდა სანა-
პირო ჯარს ჯეროვნათ და შემდეგ კი დაეწერა მისი საჭიროე-
ბაც და ნაკლიც და არა ბრძან, ერთი კალმის მოსმით მო-
ეტყუილებინა თავის თავი და იგრეთვე ის პირნი ვინც არ
იცნობს სანაპირო ჯარის ირამუ თუ იცნობს მასში მუშაობას.

სანაპირო ჯარის უფროსი

გენერალი ასმეთელაშვილი.

ნებადართულია სამსედრო ცენზურისაგან.

პასუხის მებელი რედაქტორი: 6. კურდლელაშვილი.